


K 137-096
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՐԴՅՈՒՆԱՎՈՐ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԼՐԱԺՈՒՄ

«ՃԱՅԱԳՎՈՅՆ»





յայտ օ տակտ

ՄԱՐԳԱՐԵՐԱ
ՏԵՐԱՊԵՏԱԿԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



K 134-096
3

• ԵՎՀԱԶՄՅՈՒ • ԹԱՌՅՈՒՆ • 1969



-93:8C99.962.5-34



თარგმნა

ნანა დამჩინა



1923წ.

912.

-10



გულწითალას სტუმრები

ეს ამბავი ადრიან გაზაფხულზე, ახალშეფოთლილ ხშირ კენახში მოხდა.

ბატარა გულწითელას მოულოდნელად სტუმრები ეწვივნენ. უბრალო სტუმრები არ გეგონოთ. შორიდან მოსული სტუმრები ბულბული და შოშია იცვნენ. მთელი ზამთარი აფხაზეთიდან შორს, ლურჯი ზღვის გადაღმა გაატარეს და სულ ახლახან დაუბრუნდნენ მშობლიურ ბუდეებს.

შორეული სტუმრებიც რომ არ ყოფილიყვნენ, სტუმარი მაინც ლვთისაა და ლირსეულად უნდა დახვდე.

თიქოს ჭიბრზე, ბულბული და შოშია სწორედ იმ დღეს მოყრინდნენ, როცა ნაცრისცერ. გულწითელას პურის მარცვალიც არა ჰქონდა, მაგრამ მაინც სიხარულით შეეგება სტუმრებს. ჩამდენი ხანია, ერთმანეთი არ ენახათ და ჩა გასაკვირი იყო?

გულწითელამ სთხოვა ბულბულსა და შოშიას, ცოტა ხანს დამელოდეთო, ბუდიდან გამოფრთხიალდა და წიწვანა მოძებნა.



— წიავ, წიავ, წიავ! — ჩაიჭიკიყა მან, — მიშველე, ჩემო კოშჩებული
ლო მეზობელი! საპატიო სტუმრები მესტუმრნენ, გასამასპინძლებული
ლი კი არაფერი მაქვს, პურის მარცვალიც არ მიგდია ბეღელში. მა-
სესხე ხორბალი, სულ ცოტა, აი, ამ ჭამს რომ ძირი მოუფაროს, იმ-
დენი.

— სიამოვნებით გიშველიდი, მაგრამ რომ არ შემიძლია? — უთხ-
რა კეთილმა წიწკანამ, — თვითონაც არ ვიცი, რა ვაჭამო ბარტყებს.
აბა, ერთი ბეღურასთან მიურინდი!

მოძებნა გულწითელამ ბეღურა, მაგრამ არც აქ გაუმართლა
ბედმა.

— სწორედ ახლა გაფუშვი ჩემი ვაჟიშვილი მინდორში, ეგებ
თავთავი იშვინოს. როგორც კი მოფრინდება, იმწამსვე შენთან ვაფ-
რენ. მანამ კი, როგორც შენი საკუთარი თვალით ხელავ, არაფერი
მაბადია, — უთხრა ბეგერმა ბეღურამ.

...სტუმრები კი იცდიან. უხერხელია, ამდენ ხანს ალოდინო.

ტოტილან ტოტზე, ბუდიდან ბუდეში დაფრინავდა ნალვლიანი
გულწითელა. ყველა ნაცნობი მოინახულა, მაგრამ. საუბრდუროდ,
არც ერთს — არც ჩხივე-ჭაფარას, არც შაშეს, არც ხეკაუნა კოდა-
ლას არა ჰქონდათ რა, რომ მისოვის ხელი გაემართათ. ყველას ებრა-
ლებოდა პატარა გულწითელა, მაგრამ რაც არა ჰქონდათ, რას ახეს-
ხებდნენ?

ამასობაში მოსაღამოვდა. მხიარული მზე სანახევროდ ამოეფა-
რა მაღალ გორას.

ხელცარიელი დაბრუნდა გულწითელა სტუმრებთან, რომელ-
ბიც, ამდენი ლოდინით დაღმილები, გასაფრენად ემზადებოდნენ.

— იქნებ, ღამე მაინც გაეთიათ ჩემთან? — ეხვეწებოდა სტუმ-
რებს შეცბუნებული გულწითელა. თან ისეთი საწყალი შესახედავი-
იყო, რომ ბულბულსა და შოშიას შეებრალათ საცოდავი ჩიტი.

— გმაღლობთ, ჩვენო კეთილო, გმაღლობთ! მაგრამ ჩვენ ხომ
საკუთარი ბუდეები უნდა მოვინახულოთ! — დაამშვიდეს მასპინ-
ძელი.



— ასე უპურმარილოდ როგორ გაგიშვათ? ჩემი სიკვდილი, ჩემი სიკვდილი! — წუწუნებდა გულმოკლული გულწითელა, მერე თვა-
ლებიდან ღაპალუბით გადმოსცვივდა ცრემლები და ფრთები ჩამო-
ყარა.

სტუმრები გაფრინდნენ.

„ლმერთო ჩემო, როგორ მომეჭრა თავი! რას იტყვიან ჩემ-
ზე? — ფიქრობდა გულწითელა, — რა თვალებით უნდა შევხედო
ქვეყანას? ამის შემდეგ ვენახში პატივისცემით ვინდა მომექცევა?“

— ეხ! რაღად მინდა ასეთი შერცხვენილი სიცოცხლე! — წამო-
იძახა ბოლოს და კლანებით მკერდი გაიგლიგა. ითქრიალა სისხლმა
და გულწითელა უღონოდ დავარდა ბუღეში.

სწორედ ამ დროს ბუდის კიდეზე ბებერი ბეღურას ვაჟი შემო-
ჯდა.


— წიავ, წიავ, წიავ! — აჲა, თავთავი მოგიტანე!

როგორც კი თვალი მოჰკრა გასისხლიანებულ გულწითელას, პა-
ტარა ბეღურამ წამსვე დააგდო თავთავი და მისაშველებლად მივარ-
და: ვაზის ფოთლით შეუხვია ჭრილობა და გონს მოიყვანა.

გადარჩა გულწითელა, მაგრამ მკერდის ის ადგილი, საიდანაც
უმანკო სისხლი სდიოდა, სამუდამოდ წითელი დარჩა.

ახლა ხომ იცით, ბავშვებო, რატომ აქვს გულწითელას წითელი
მკერდი?





სახვი და პიტრი

ზ ღაპარში წამიკითხავს, რომ წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ბოლოები, ნიორი, ხახვი, კიტრი და სხვა ბოსტნეული მინდორში იზრდებოდა ველურად. ისე კი არ იყო, როგორც დღესაა: ჭერ რომ მათ თესლს დავთესავთ, გადავრგავთ, გავთოხნით, ავიღებთ მოსავალს და ზამთრისთვის შევინახავთ.

ვინ იცის, როგორ მოხდა, მაგრამ თურმე მაშინ, ერთ უზარმაზარ მინდორში, ერთმანეთის გვერდით, ამოვიდა და გაიზარდა ხახვი და კიტრი. ეს მინდორი კი სარეველა ბალახს დაეფარა.

შემოდგომა იყო. აფხაზეთში პაპანაქება სიცხე იდგა. ხახვმა და კიტრმა მოასწრეს დამწიფება, სარეველა ბალახი კი ხვატმა გადაახმო.

ერთ დღეს ისე ცხელოდა, რომ მიწას ბუღი ასდიოდა. უეცრად, მზისგან იყო თუ მეჩისაგან, ბალახს ცეცხლი მოეკიდა. იგი ძლიერდებოდა, ირგვლივ ყველაფერს დედაბუდიანად სწვავდა და იმ ად-

გილისკენ მიიწვედა, სადაც ხახვი და კიტრი ეთესა. როცა ცეცხლის მომავალში აღმა კიტრი შეახურა, მან მოაბრუნა თავისი დაგრეხილი კისერი და შიშისაგან შეჰყვირა. მისკენ უმდვინვარესი მტრის, ცეცხლის ენები მოიკლაკნებოდნენ.

— შენ, ეი, მეზობელო ხახვო! სადა ხარ? განა ვერ ხედავ, რომ ვიწვით!

— საიდან უნდა ვხედავდე? მე ქვევით ვარ, მიწაზე, შენ კი ზევით — ხის ტოტზე ჩამოკიდებული!

მაგრამ ამ დროს ცეცხლის მხურვალება ხახვმაც იგრძნო.

— უცელაფრის გადამბუგველი ცეცხლი გვიახლოვდება! ჩქარა, მოემზადე, წყაროსკენ გავიქცეთ, თორემ ფერფლიც აღარ დარჩება ჩვენგან!

ეს რომ კიტრმა გაიგონა, ძირს ჩამოვიდა და ხახვს დაელოდა. ხახვიც მოემზადა გასაქცევად, მაგრამ ფეხები ისე ღრმად ჰქონდა მიწაში გადგმული, რომ ვერაფრით ვერ დაიძრა ადგილიდან. ცეცხლი კი სწრაფად ახლოვდებოდა.

— მიშველე, ძვირფასო კიტრო! დაბმული ვარ, მიწა არ მიშვებს! — ეცვეწებოდა გამწარებული ხახვი კიტრს.

კიტრმა საჩქაროდ მიირბინა ხახვთან, ყურებში სწვდა, ძლივ-ძლივობით ამოიყვანა მიწიდან და წყაროსკენ მოურცხლეს. მაგრამ ცეცხლიც არ იდგა ერთ ადგილზე, ისიც მისდევდა გაქცეულებს.

გულამოვარდნილმა კიტრმა და ხახვმა, როგორც იქნა, მიირბინეს წყაროსთან!

— რაღას უყურებ? გადახტი წყალში და ჩაყვინო! — შესძახა კიტრმა ხახვს.

— თუ კაცი ხარ, მაცალე, ასე მორთულ-მოკაზმული ხომ ვერ გადავხტები? — მიუგო ხახვმა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო.


გაიძრო ერთი კაბა, მეორე, მესამე... მაგრამ კაბები არა და არ თავდება. ცეცხლი კი სულ ახლოსაა.



— ჩქარა! ჩქარა! რას შვრები? გადმოხტი, როგორცა ხარ! გემუდარებოდა კიტრი. ხახვი კი სულაც არ ჩქარობს, იხდის და იხდის კაბებს...

როცა კიტრმა დაინახა, ხახვმა ვერა და ვერ გაიხადათ, სწვდა ქე-
ჩოში და წყლისკენ მოქაჩა. სწორედ ამ დროს მოსრიალდა ციცხლის
ალიც. კიტრი გადახტა წყალში და ჩაყვინთა, მაგრამ ალი მაინც მისწ-
ვდა და შერუჭა. აუჩქარებელ ხახვს კი სხეულზე გადაუარა, დაუწვა
კანი და გზა განაგრძო. ძლივს გადარჩნენ ცოცხლები.

გავიდა დრო. კიტრს ის ადგილი, ცეცხლმა რომ შეურუჭა, სწო-
რი და მწარე გაუხდა. აი, ამის შემდეგ აქვს კიტრს მწარე თავი. აბა,
ახლა ხახვსაც შეხედეთ შემოდგომაზე? უხმება კანი. ხახვიც განაწ-
ყენებულია, რომ ცეცხლმა გადაუარა და ამიტომაც არის მწარე. რო-
ცა მას ფრქვნი, ყოველთვის ცდილობს, ცრემლები გადინოს. ამ
ცრემლებს ხახვი თავისი შეტრუსული და ნატკენი კანის გაძრობის-
თვის გადენს.





საზღამორო და ამპუბა¹

მრთხელ საზამორო შემთხვევით ამკუბას გადაეყარა და
დაიწყეს კამათი იმაზე, თუ ვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვნ
ადამიანისთვის.

იმდენი იყამათეს, კინალამ არ გაარტყეს ერთმანეთს.

— სასაცილოა პირდაპირ, შენ როგორ უნდა შეგადარო თავი? შენზე ტკბილიც ვარ და ადამიანს მე უფრო ვუჟვარვარ! — ჭიუტობ-
და საზამორო.

— სისულელეა! შენ კუსავით მიწაზე აგდიხარ, მე კი ჰაერში
ვნებივრობ, განცხრომაში ვარ. მზის სხივები მზრუნველად მეალერ-
სებიან. მიკვირს და ვერ გამიგია, როგორ ბედავ ჩემთან გატოლებას,
როცა საკუთარი თვალით ხედავ ჩემს ზეციურ სავანეს! — არა
ცხრებოდა ამკუბა.

¹. ამკუბა აღხაზურად მწარე კვახს ნიშნავს.

იმ დროს (ისე კი არა, როგორც ამჟამად) ამკუბა დიდ, წვნიანსა და სამოვნებით ჭამდნენ. მაშინ იგი არც მწარე ყოფილა და არც გამოფიტული, როგორც დღეს არის.

მოკამათეებმა მეზობლებს უხმეს.

მოვიდნენ სტაფილო, კიტრი, ნესვი, კვახი, ხახვი, ბოლოქი, ნიორი და სხვები.

— მოგვისმინეთ, დამშვიდდით! არ გიხდებათ ახეთი აყალმაყალი.

— ნუ გახდით ბაღჩას სასაცილოდ! სირცხვილია! — უთხრეს სტაფილომ და კიტრმა.

კვახიც შეეცადა დაემშვიდებინა ისინი, მაგრამ ამაოდ.

რაკი გაჭიუტებული მოკამათეები ვერ დამშვიდეს, კვახი და ნესვი ადამიანთან წავიდნენ და ძალით მოიყვანეს.

— რა ბუზანეალმა გიქბინათ? ჭკულიან ხომ არ შეიშალეთ? რაზე კამათობთ?! ეჭ, თქვენ, ჩემო პატარა სულელებო, მე დაგრგეთ, გაგზარდეთ, შემოგლობეთ, რომ არ მიყვარდეთ, განა ამდენს ვიზრუნებდი თქვენზე? — უთხრა ადამიანმა და შერიგება სცადა.

— მაგაზე როდი ვკამათობდით, გვინდა ვიცოდეთ, რომელს მეტი სარგებლობა მოაქვს შენთვის და რომელი უფრო გიყვარს, — უთხრა საზამთრომ პატრონს.

— დიახ, დიახ! სწორედ ეს გვაინტერესებს: რომელი უფრო გიყვარს! --- ჭიუტობდა ამკუბა ხიდან.

კაცი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რომ ეთქვა ამკუბა უფრო მიყვარსო, საზამთროს ეწყინებოდა, საზამთროსთვის მიეცა უპირატესობა და ამკუბა გაბრაზდებოდა.

ადამიანს კი ორივე ერთნაირად უყვარდა.

— მოიცადეთ! იცით, რას გეტუვით? ახლა დროებით შერიგდით. შემოდგომაზე მოვალ, დაგრედავთ და ვინც უფრო მწიფე იქნება, იმას მივემხრობი! — ურჩია კაცმა.





ამკუბა და საზამთრო ოდნავ ჩაფიქრდნენ და დაეთანხმნენ.

კაცმა მათ გაშიშვლებულ ფესვებზე მიწა მიაყარა, მიუალერსა და შინ წავიდა.

საზამთრო და ამკუბა, ერთმანეთის ჭიბრზე, დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდნენ და ტკბებოდნენ პატრონის გულგასახარად.

მოსავლის ალების დრო ახლოვდებოდა. თხილის ტოტზე ჩამოკლნებიალებული ამკუბა ყოველ დილას გადმოხედავდა საზამთროს შურიანი თვალებით: ჩემზე დიდი ხომ არ გაიშარდაო.

მიწის ძუძუნაშოვი საზამთრო კი იზრდებოდა და იზრდებოდა, უფრო ტკბილი და წენიანი ხდებოდა. ამკუბას გული მოუვიდა: ადამიანი უჭრედა საზამთროს აირჩევს და, სანამ გვიან არ არის, უნდა ვიღონო რამეო.

სწორედ იმ დღეს, როცა ადამიანი უნდა მისულიყო, ამკუბამ გამოჰყო თავი თხილის ფოთლებიდან და საზამთროს გადმოხდახა:

— შენ, ეი, საზამთროვ! ერთი აქეთ მომხედე! — როცა მეზობლის ხმა გაიგონა, საზამთრო მუცლით გახოხდა, ამკუბასკენ შებრუნდა და სმენად იქცა.

— მომისმინე, მეზობელო! — უთხრა ამკუბამ, — ჩატომ უნდა შევაწუხოთ ადამიანი? მოდი, უიმისოდ გავარჩიოთ, ვინ უკეთესია!

— კარგი, მაგრამ როგორ?

— სულ უბრალიდ: აი, იმ წყაროს ხომ ხედავ? — ხელი გაიშვირა ამკუბამ იქვე ჩამომდინარე სარკესავით წყაროსკენ, — მივიდეთ, ჩაგისხდოთ შიგ და რომელი ჩევნგანიც უფრო დიდი გამოჩნდება. ვისი ჩრდილიც უფრო ლამაზად აირეკლება წყლის ჟედაპირზე, დაერის იყოს გამარჯვებული. პატრონსაც ასე მოვახსენოთ! თანახმა ჰარ?

საზამთრომ ერთხელ კიდევ წამოსწია თავი, შეხედა ამკუბას და უთხრა:

— კარგი, იყოს ნება შენი! ჩამოდი დაბლა!

ამკუბამ მალულად მიაბა თავისი თოკივით გრძელი წანაზარდებისას ბი თხილის ტოტს და ნელა ჩამოცოცდა ხიდან.

საზამთროც ფრთხილად, ისე, რომ საკუთარი ფოთლები არ გა-
ეთელა, ამკუბასთან მიგორდა.

მერე ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ხტუნვა-ხტუნვით მივიღ-
ნენ წყაროსთან.

— შეხედე! შეხედე! — უთხრა ამკუბამ და პატარა ქვა ჩააგდო
წყალში. ცისფერი წყაროს კრიალა ზედაპირზე წრები გაჩნდა. ეს
წრები ერთმანეთს უსწრებდნენ და სწრაფად უერთდებოდნენ ერთ-
მანეთს.

თვალებგაფართოებული საზამთრო ცნობისმოყვარეობით დას-
ჩერებოდა გამჭვირვალე წყაროს ზედაპირს, მაგრამ ვერაცერი გაე-
გო. შემდეგ, ახლოდან რომ შეხედა, ზედ წყაროს ნაპირთან მივიღა.

ამ დროს ცბიერმა ამკუბამ მას ხელი ჰყრა და საზამთრომაც
წყალში მოადინა ზღართანი.

ამკუბამ თავისუფლად ამოისუნოქა, შემობრუნდა და მშვიდად
იაცოცდა ხეზე.

სწორედ ამ დროს მოვიდა პატრონიც.

ამკუბა თავის ადგილას ეკიდა, საზამთრო კი არსად ჩანდა. ბევ-
რი ეძება კაცმა, მაგრამ, აბა, იქ რას იპოვნიდა?

— საზამთროს ვერ ვსედავ, ხომ არ იცი, სად წავიდა? — ჰყითხა
შეწუხებულმა კაცმა ამკუბას.

— მთელი დღეა არ დამინახავს, მე რა ვიცი, სად არის? — გი-
უტად იმეორებდა ამკუბა.

კაცი ფრთხილად, ისე, რომ არ გაეთელა ბოსტნეული, წყაროს-
კენ წავიდა. გზაში ნახა საზამთროსა და ამკუბას ნაკვალევი, მიხვდა
ყუველივეს, ყურადღებით ჩახედა წყაროს და ფსკერზე საცოდავად
მოქანავე საზამთრო შენიშვნა.

საჩქაროდ გაიხადა ტანთ, ჩაყვინთა და შიშისგან გულგახეთქი-
ლი საზამთრო ამოათრია.



— აი, შე არამზადავ, შენა! ასე გინდოდა, გამარჯვებული გამოწვევად
სულიყავი? ეგდე ახლა მაგ ხეზე და გახმი! — თქვა კაცმა, ფრთხილად
ჩადო ტომარაში საზამთრო და შინ წაიღო. უპატრონოდ მიტოვებუ-
ლი ამკუბა კი მთელი ზამთარი ეკიდა ტოტზე, გახმა ქარისა და დარ-
დისაგან, სასტიკმა ყინვამ კი მთელი წვენი გამოუშრო და სულ გამო-
ფიტა.

ამ დღიდან ამკუბა მწარე და გამომხმარია და ცუდი სუნი აქვს.



ସାହିତ୍ୟକାଳି

ପୃଷ୍ଠାମାତ୍ରରେ ଦେଖିବାରେ	୫
ଶବ୍ଦଗୁଣରେ ଦେଖିବାରେ	୯
ଶବ୍ଦବିଭାଗରେ ଦେଖିବାରେ	୧୩

С (Абх)2
894.611.3—93
з 998



7—6—2

Ахуба Джума Виссарионович
Гости Зорянки

(На грузинском языке)
Детиониздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1969

შეცროსი საცდლო ასაკის
აავტორათვის

რედაქტორი ქ. ჭუჩუკაშვილი, მხატვარი დ. ჭარალი-
შვილი, მხატვ. რედაქტორი გ. ჭავლაშვილი, ტექნი-
დატორი ლ. ქვარცხავა, კორექტორი თ. ინგია.
ხელმოწერილია დასტერდა 25/V 69 წ; ქილოდის
ზომა 70×90¹/16; ნაბეჭდი თაბაზი 1,25; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბაზი 1,1 ტრ. 5.000 შეკვეთი № 446
ფასი 10 კაპ.

გამომუშავლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სკოლისტობრი საბჭოს ბეჭდვითი სიტყ-
ვის სახელმწიფო კომიტეტის მთავრპოლიტაცირებულ-
ლობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ცურცელის ქ. 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома
Государственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5.

201/1116

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

